# ცნობის ფურცელი

№ 2275 პარასკევი, 26 სექტემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2275

**გაზეთის ფასი:** წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе"** ტელეფონი № 372.

**ამ №-თან ხელის-მომწერთ ურიგდებათ კალოშების ფირმის „პროვოდნიკის" განცხადება**

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ამ თვის 24-ს გარდაიცვალა ქუთაისის გუბერნიის სომეხთა დეკანოზი

## ტერ დავით იარალიანცი.

გულითადის მწუხარებით აუწყებენ ამას ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ძმები დეკანოზი ტერ იოსებ ამირალიანცი და მეუღლე მისი ანნა დავითის ასული, ნიკოლოზ გიორგ. რაფაელიანცი და მეუღლე ამისი ელისაბედ დავითის ასული და სთხოვენ მობრძანდნენ დასაფლავების დღეს, ამა თვის 28-ს. გამოსვენება 27-ს, ნაშუადღევის 3 საათზე, დაკრძალვა ქუთაისის სომეხთა ეკლესიის ეზოში. პანაშვიდები მუდამ საღამოს 6 საათზე. (3—1)

ქ. ოზურგეთში, მელექედურის ეკლესიაზე, სექტემბრის 28-ს, დღითი კვირას, დილის 10 საათზე, გადახდილ იქმნება ორმოცის და წლის თავის წირვა და პანაშვიდი, უდროვოდ გარდაცვალებულის ძმების:

## ასლან და სიო თავართქილაძეების

სულის მოსახსენებლად, რასაც აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთა დამწუხრებული დედა და ძმები განსვენებულებისა. (2—1)

წარმოდგენა 3 **ქართული თეატრი** ტელეფონი № 617

**კვირას, 28 სექტემბერს, 1903 წ. საზოგადოების თხოვნით**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ხელმეორედ წარმოდგენილი იქმნება

## სამშობლო

დრამა 5 მოქმ. და 7 სურათად, დ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. დავითაშვილი, ნ. ყიფიანი., ნებიერიძე, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე რეჟისორი **აკაკი**

**ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევს, 26 სექტემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

## ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქმედებად, მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: რენე-რადინა, რადიონოვა, სელიუკ-როზნატოვსკაია, ლელინა; ბ-ნნი: რაისკი, სელიავინი, ევლახოვი, ფედოროვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი გ. ესპოზიტო.

ანონსი: 27 სექტემბერს—„გუგენოტი" მეიერბერისა, 28 სექტ. „რიგოლეტო" ვერდისა და ბალეტის დივერტისმენტი. ბილეთები იყიდება. (ნ.)

**მასაჟის და საექიმო გიმნასტიკის**

## კურსები

## გედევანიშვილის სამკურნალოში

15 ოქტომბრიდან

მასაჟი | **გ. სობოლევსკი.**
ფიზიოლოგია | **ე. ფეოდოროვი.**
ანატომია | **ა. მაღალაშვილი.**

(8—ნ. —7)

**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ვ. ჩიჩინაძე**—კბილისა, 8—10 საათამდე.

**ლ. ივ. კამოიკი.**—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

**ნ. ტ. მულინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

**ი. პ. ახალშენიშვილი.**—კბილისა, 10 ს. 11 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.**—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

**ლ. მ. მონინი.**—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

**დ. ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

**ბრ. ვ. სოგოლევსკი.**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

**ვ. მ. მანსვეტოვი.**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

**საღამოთი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.**—შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ბ.

(წლ.) **ტელეფონი** № 274.

**მისაღები ეგზამენი**

## ტფილისის საპალოსნო სკოლაში

დანიშნულია 7 ოქტომბრისათვის.

(3—157—2)

**კბილის ექიმი**

## ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

**ექიმი**

## ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

## საზღვარ-გარედ

**მაკედონია.** წამებულს მაკედონიას ყველაზე მეტად ინგლისში თანაუგრძნობენ. 16 სექტემბერს ლონდონში სენ ჯემს ჰოლში დიდი კრება მოუხდენიათ, მაკედონელებისათვის თანაგრძნობა გამოუცხადებიათ და ოსმალეთის მთავრობის მხეცური ქცევა დაუგმიათ. თუმცა იმ დღეს კოკისპირულად სწვიმდა, კრებას მაინც 3 ათასზე მეტი კაცი დასწრებია. დარბაზი ხალხით გაჭედილა და საზოგადოება მეტად აღტაცებულ გუნებაზე მოსულა. კრებას ბევრი გამოჩენილი მოღვაწე დასწრებია: ვორსტერისა და ჰერესფორდის ეპისკოპოსები, ინკონფორმისტების გათქმული მქადაგებელი კემპბელი, რადიკალი დეპუტატი და ისტორიკოსი ჯემს ბრაისი და მუშების დეპუტატი კრუქსი. კრება რომ გაიხსნა, თავდაპირველად გამოჩენილ მოღვაწეთა წერილები წაიკითხეს. კენტერბერისა, ლონდონისა და როჩესტერის ეპისკოპოსებს, ლიბერალურ პარტიის წინამძღოლებს ლორდ სპენსერსა და კემპბელ-ბანერმანს და ორსავ პალატის წევრებს კრებისათვის წერილები მიეწერათ და მაკედონელებისათვის თანაგრძნობა გამოეცხადებინათ. ამ წერილების წაკითხვის შემდეგ, კრების თავმჯდომარემ ვორსტერის ეპისკოპოსმა სიტყვა წარმოსთქვა მაკედონიის საქმეზე. ეპისკოპოსმა პირველ-მინისტრის ბალფურის პოლიტიკა მაკედონიის საქმეზე გაჰკიცხა და მოითხოვა, ინგლისის მთავრობა უფრო ბეჯითად უნდა ერეოდეს ამ საქმეშიო; ინგლისმა უნდა მოითხოვოს, რომ მაკედონიაში ქრისტიანი გენერალ-გუბერნატორი დაინიშნოს. ეს გუბერნატორი დიდ სახელმწიფოებს უნდა ემორჩილებოდეს და არა ხონთქარს და მხოლოდ დიდის სახელმწიფოების თანხმობით იცვლებოდესო (ტაშის ცემა). ეპისკოპოსმა ასე დაასრულა: „მაკედონელები ელოდებოდნენ, დიდი სახელმწიფოები საქმეში გაერევიან და გვიშველიანო, მაგრამ ეს იმედი აღარ გაუმართლდათ; ეხლა არა თუ უფლება აქვთ, მოვალენიც არიან აჯანყდნენ". ეპისკოპოსის შემდეგ ცნობილმა მეცნიერმა და დეპუტატმა ჯემს ბრაისმა ილაპარაკა. ბრაისმა სთქვა: დარწმუნებული ვარ, ბალფურის აზრი (ბალფური იმ აზრისაა, რომ მაკედონიის საქმე ავსტრიამ და რუსეთმა უნდა ორთ გადასწყვიტონ, სხვა დიდმა სახელმწიფოებმა და იმათში ინგლისმაც მარტო მხარი უნდა დაუჭირონ ამ ორ სახელმწიფოსაო) მთელის სამინისტროს აზრი არაა. ორატორმა მოითხოვა, ინგლისი, საფრანგეთი დი იტალია ერთად უნდა გაერივნენ მაკედონიის საქმეში და ოსმალების ბატონობას მაკედონიაში ბოლო მოუღონო. ბრაისმა სთქვა: „ამაზე მეტი მოცდა აღარ შეიძლება, თორემ მაკედონიის ხალხს მთლად გასწყვეტენ, იქნება ბოლგარიასა და ოსმალეთს ომი მოუვიდეთ და ბოლოს იქნება დიდი საერთაშორისო ომიც ასტყდეს. თუ გვინდა, რომ ეს საშიში ამბები თავიდან ავიცილოთ, უსათუოდ უფრო გაბედულად უნდა მოვიქცეთ". ამის შემდეგ ჰერესფორდის ეპისკოპოსმა, მუშების დეპუტატმა კრუქსმა, ლორდ სტენმორმა და მქადაგებელმა კემპბელმა ილაპარაკა. კრებამ დაადგინა: მაკედონიაში ოსმალეთის ბატონობას ბოლო მოეღოს, მაკედონიის მმართველობას ევროპის კონტროლი დაუწესდეს, ინგლისის მთავრობამ ყველა ის მოვალეობა შეასრულოს, რაც ბერლინის ხელშეკრულობის ძალით აქვს ნაკისრი, და დაზარალებულ მაკედონელთა სარგებლოდ ფონდი დაწესდეს.

◆ ოსმალეთის მთავრობა იუწყება, მაკედონიის აჯანყება ჩაჰქრაო. გერმანული გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ"-ი სწერს: „აჯანყება სულაც არ ჩამქრალა. აჯანყებულნი ეხლა მხოლოდ ისვენებენ და მალე ისევ მოქმედებას დაიწყებენ. ბორის სარაფოვმა გამოაცხადა, ნოემბერში ბრძოლა ისევ განახლდებაო; იცოდეთ, რომ სარაფოვის სიტყვა არ გაცრუვდება, უსათუოდ ასრულდება. მართალია, ბევრჯელ გამოაცხადეს, სარაფოვი მოჰკლესო, მაგრამ სარაფოვი დღესაც ცოცხალია და აჯანყების ნამდვილი სული და გული სწორედ ეს სარაფოვია."

◆ იგივე გაზეთი სწერს: „რუსეთის მთავრობის უკანასკნელ ოფიციალურ განცხადებიდან ცხადად სჩანს, რომ რუსეთი ბოლგარიის გაძლიერების წინააღმდეგია, არ უნდა, რომ ბალკანეთში „დიდი ბოლგარია" დაარსდეს, ავსტრო-ჰუნგრეთიც რუსეთს თანაუგრძნობს და ეთანხმება ამ საქმეში".

◆ „კელნიშე ცაიტუნგ"-ს სწერენ სოლუნიდან: აქაურმა ოსმალელმა მოხელეებმა მაკედონელების პლანი ჩაიგდეს ხელში. ამას გარდა, მოხელეებმა ერთ სოფლელ ბოლგარისაგანაც ბევრი საყურადღებო ცნობა შეიტყეს აჯანყების თაობაზე. ასე რომ მოხელეებმა ეხლა კარგად გაიგეს, თუ რას აპირობდნენ აჯანყებულნი და რანაირად აწყობდნენ აჯანყების საქმეს. სექტემბრის დამდეგს კომიტეტს მაკედონიის სხვა და სხვა ადგილას მეთაურთა საიდუმლო კრებები მოუხდენია. კრებებზე მომავალ გაზაფხულისათვის დამზადებული პლანი წაუკითხავთ და დაუდგენიათ, ეხლავე ვეცადნეთ, რომ გაზაფხულისათვის მეტი მებრძოლი ვიშოვოთო. აჯანყებულთ გადაუწყვეტიათ აგრეთვე, ჩვენი რაზმები უკეთესად მოვაწყოთო, რაზმების მეთაურად, საცა კი შეიძლება, სამსახურში ნამყოფი ოფიცრები დავნიშნოთო; ყოველ რაზმში 50 კაცზე მეტი არ უნდა იყოს; პატარა რაზმი უფრო მარდადა და ფიცხლად მოიქცევა და უფრო ადვილად გაუსხლტება ოსმალებს ხელიდანაო. ეხლავე თადარიგი დაუჭერიათ, რომ რაზმებს სამხედრო და საკვები სურსათი თავის დროზე მიეცეს. სურსათის საიდუმლო საწყობებს ისეთ საიდუმლო ადგილებში გამართვენ, რომ რაზმის უფროსისა და იმის თანაშემწის გარდა არავის ეცოდინება. აჯანყების წინ სადმე ქალაქში რევოლიუციონერები რამე შენობას ააფეთქებენ, ისე, როგორც ამ გაზაფხულზე სოლუნში ააფეთქეს. რამწამს ეს აფეთქება მოხდება, მაკედონიაში მაშინვე საყოველთაო აჯანყება დაიწყება. აჯანყებულთა ქაღალდებში ის-კი აღარ ეწერა, თუ რომელ ქალაქში მოახდენენ ამ აფეთქებას, მხოლოდ ის ეწერა: დანიშნულ ქალაქში თავის დროზე ცალკე რაზმი გაიგზავნება საგანგებო მინდობილობითაო. კომიტეტი ავალებს აჯანყების მეთაურებს, დიდი აგიტაცია გამართეთ, ხალხს ბევრს რამეს დაჰპირდით და ყოველნაირად ეცადენით, რომ გაზაფხულზე უფრო ძლიერი აჯანყება მოხდესო. სარაფოვი თითონ დაივლის ყველა ადგილობრივ კომიტეტს და აჯანყების საქმეზე დაწვრილებით მოელაპარაკებაო. ამ ცნობებმა თურმე ძლიერ ააღელვეს ოსმალები, მით უმეტეს, რომ ხმა დადის, გაზაფხულზე აჯანყების ნიშანს სტამბოლში მისცემენ რევოლიუციონერებიო, ესე იგი სტამბოლში მოახდენენ აფეთქებასაო.

**საფრანგეთი.** სოციალისტ-რევოლიუციონერებმა, ესე იგი ბლანკისტებმა, გედისტებმა და „მუშების პარტიამ" კონგრესი მოახდინეს. ამ ჯგუფების მეთაურები არიან გედი, ვალიანი, ლაფარგი და სხვ. ყოველ კომპრომისსა და შეთანხმებას ბურჟუაზიულ პარტიებთან ესენი პრინციპიალურად უარჰყოფენ და ამით განსხვავდებიან ჟორესისა და მილიერანის ზომიერ სოციალისტურ პარტიისაგან. კონგრესზე მთელის სოციალისტურ პარტიის შეერთებაზე ჰქონდათ ლაპარაკი; ამას გარდა მომავალ საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესისათვის—მეორისს ამსტერდამში მოხდება—პროგრამა შეიმუშავეს. კონგრესზე ილაპარაკეს გედმა, ვალიან-

მა და კიდევ ზოგიერთმა სოციალისტურმა დეპუტატმა და ქალაქის მოურავებმა. ორატორები ერთხმად ჰგმობდნენ ზომიერ სოციალისტების ოპორტიუნისტურ ტაქტიკას და სიხარულს აცხადებდნენ, რომ გერმანულ სოციალისტების კრებამ დრეზდენში გაბედვით დაჰგმო გერმანელ რევიზიონისტების ტაქტიკა და ბურჟუაზიულ პარტიებთან შეთანხმებაო. ერთმა ორატორმა შემდეგი სთქვა ზომიერ სოციალისტებზე: „ორის წლის წინ ზომიერებმა სამარე გაგვითხარეს, მაგრამ ჩვენთვის გათხრილ სამარეში თითონ ზომიერი სოციალისტები დასაფლავდებიან: ამ სამარეში ჟორესისა და მილიერანის საყვარელ ტაქტიკას დავმარხავთო“. ორატორების ნალაპარაკევიდან სჩანს, რომ სოციალისტ-რევოლიუციონერებს დიდი იმედი აქვთ მომავალ საერთაშორისო კონგრესისა: ამსტერდამის კონგრესის დროს სოციალისტ-რევოლიუციონერებსა და ზომიერ სოციალისტებს შუა დიდი ბრძოლა მოხდებაო. კრებამ ბოლოს ჩვეულებრივი რეზოლიუციები დაადგინა: სენატი და რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა გაუქმდეს, ადგილ-მამული, ბანკები, რკინის გზები სახელმწიფოს ხელში გადავიდეს და სხვ. გერმანელ სოციალ-დემოკრატს მეცნიერ კაუტსკის კრებისათვის წერილით თანაგრძნობა გამოეცხადებინა.

## ახალი ამბავი

✦ ამ დღეებში ვწერდით, რომ საგუბერნიო გამგეობა ჰფიქრობს ტფილისის **პოლიციის შტატის გადიდებასაო**. როგორც „ტიფ. ლისტ.“ გადმოგვცემს, საგუბერნიო გამგეობას საჭიროდ დაუნახავს პოლიციის მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებაც. პოლიცმეისტერს უნდა დაენიშნოს წელიწადში 4800 მან., იმის პირველ თანაშემწეს—3500 მ., მეორე თანაშემწეს 2500 მ., კანცელარიის გამგეს—1400 მ., ბოქაულებს თითოს—1650 მ., ყველა ამათ ჯამაგირს გარდა უნდა მიეცეთ უსასყიდლოდ სადგომებიც. ჯამაგირები უნდა მოემატოთ აგრეთვე ბოქაულის თანაშემწეებს, პოლიციის მოხელეებს, პოლიციელებს, პოლიცმეისტერის და ბოქაულების კანცელარიის მოხელეებს, ერთის სიტყვით, ყველა იმას, ვინც პოლიციაში მსახურებს.

✦ 15 ოქტომბრიდან უნდა გამოცხადდნენ ის ყმაწვილი ჯარის კაცები, ვინც წელს **კენჭის ამოსალებად** არიან გაწვეულნი. ტფილისის სამხედრო საკრებულო აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვინც 1881 წლის პირველ ოქტომბრიდან 1882 წლის 1 ოქტომბრამდე დაიბადნენ და ჯარში გასაწვევ სიებში კი არ მოჰხვდნენ, რომ ამათ 15 ოქტომბრამდე განცხადებანი უნდა შეიტანონ სამხედრო საკრებულოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინც ასეთი აღმოჩნდება, იმას კენჭის ამოუღებლად წაიყვანენ.

✦ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს შეუმუშავებია გეგმა **ფილოქსერასთან ბრძოლისა** 1905 წლიდან.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა ნ. შიოევის მიერ ნაანდერძევ ფულით **დააარსოს სახელოსნო სასწავლებელი.**

✦ დღეს, 26 სექტემბერს, **შესრულდა ასი წელიწადი**, რაც ტფილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია დაარსდა. პირველ ხანს ამ გიმნაზიას „კეთილშობილთა სასწავლებელს“ ეძახდნენ.

✦ მთავარ-მართებელმა, ექსარხოსის შუამდგომლობის თანახმად, 1000 მანეთი გადასდო **რუსთა სოფელ ოლგინსკაში** (ტფილ. მაზ.) ახალ ეკკლესიის დასამთავრებლად.

✦ გუშინ, 25 სექტემბერს, ტფილისის **პოლიცმეისტრის კანცელარია გადავიდა** ახალს სადგომში, ოლგას ქუჩაზე. კანცელარია მოთავსებულია ექ. ჩერეპანოვის სახლში.

✦ **ქ. ახალქალაქის ზოგიერთ მცხოვრებთ** შუამდგომლობა აღუძრავთ რუსეთის ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების განყოფილების დაარსების შესახებ. მიწათ-მოქმედების სამინისტრომ ეს შუამდგომლობა შეიწყნარა.

✦ ტფილისის დედათა პირველ **გიმნაზიის დირექტორი შულგინი** ყუბანის რეალურ სასწავლებლის დირექტორად გადაიყვანეს, ხოლო იმის ადგილას დანიშნეს სტავროპოლის გიმნაზიის ინსპექტორი ლარიონოვი.

✦ სენაკის მაზრის **სოფელ ნოღალევში** პირველ ოქტომბრიდან არსდება საფოსტო განყოფილება.

✦ 24 სექტემბერს ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა განცხადება ბ. სარქისოვისა, რომელიც თხოულობდა, ნება მომეცით გოლოვინის პროსპექტზე **ავტომატიური სასწორი** გავმართო, ისეთი, როგორიც ევროპის დიდს ქალაქებშიაო. გამგეობამ შეიწყნარა თხოვნა.

✦ **ტფილისის საბალოსნო სასწავლებელში** სპეციალურ საგნების მასწავლებლად და პრაქტიკულ სამუშაოების გამგედ დაუნიშნავთ ოდესის უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებული მ. მუჯაიძე.

✦ 29 სექტემბრისათვის დანიშნულია კრება **საგეოგრაფო საზოგადოებისა.** კრება მოხდება სამხედრო შტაბის სადგომში.

✦ გუშინ ამაღლების ქუჩის სახლის პატრონთ საერთო თხოვნა გადასცეს ქალაქის გამგეობას იმათის ქუჩაზე წყლის სადენ არხის გაყვანის შესახებ.

✦ 24 სექტემბერს ტფილისის საკომერციო სასწავლებლის სამზრუნველო საბჭომ შეადგინა სასწავლებლის ამა 190³/₄ სამოსწავლო წლის ხარჯთ-აღრიცხვა, დაამტკიცა და დაადგინა, წარუდგინოს განსახილველად ვაჭართა დეპუტატთა საკრებულოს.

✦ „ცნ. ფ.“ გუშინდელ №-თან ხელის მომწერთ დაურიგდა სურათებიან დამატების მე-154 №.

✦ ამას წინად პოლიცმეისტერმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, ნება დართოს მეეტლეებს ოლგასა და მოსკოვის ქუჩების შესართავთან დგომისა. 24 სექტემბერს გამგეობამ განიხილა თხოვნა და შეიწყნარა.

## შინ და გარედ

### 12.

გუშინდელ ჩემ წერილში ახლანდელ ქალაქის თვითმართველობის შესახებ ვამბობდი, მდიდართა ინტერესების დამცველიამეთქი. ამის დამამტკიცებელი საბუთი და ფაქტი ბევრია, მაგრამ ამ ხანად მე ერთ მაგალითს მოვიყვან. მაგალითი კარგად დამახასიათებელია ჩვენის, ტფილისის საქალაქო მმართველობის მიმართულებისა.

ერთ-ერთ წარსულ კრებაზე, საბჭოში, ლაპარაკი ჩამოვარდა საქალაქო დასაფასებელ გადასახადის აკრეფის წეს-რიგზე. გამგეობის ანგარიშიდან აღმოჩნდა, რომ ეს გადასახადი, რომელიც ქალაქის მმართველობის უმთავრეს შემოსავალს შეადგენს, ძალიან უწესრიგოდ და დიდის გაჭირვებით შემოუდის ქალაქს. 1900 წელს ამ გადასახადის ქალაქს 397,127 მანეთი უნდა შემოსვლოდა, ნამდვილად-კი კასსაში შემოსულა 137,257 მანეთი; „ნედოიმკა“ ყოფილა 388,348 მან., აქედან ქალაქს დღემდის ვერ აუღია 262,423 მან. ამ რიგად, ქალაქის შემოსავლის უმთავრეს წყაროდან მმართველობა მხოლოდ ერთ მესამედს ღებულობს, დანარჩენი „ნედოიმკა“-დ რჩება, რომელიც ყოველ წელს საშინლად იზრდება.

ეს სამწუხარო მოვლენა ხშირად იწვევს კამათს საბჭოში; ცდილობენ, ისეთი ღონე იღონონ, რომ გადამხდელებზე დარჩენილი ფული აიღონ, მაგრამ საქმეს ვერ შველიან... ჩვენ ამ საქმის მხოლოდ შემდეგი მხარე გვაინტერესებს:

იმათ რიცხვში, ვისზედაც დარჩენილია გადაუხდელი გადასახადი, ბევრია თურმე დიდისა და საშუალო შეძლების სახლის პატრონი, ბევრიც—მცირე შეძლებისა. „ნედოიმკის“ ასაღებად საქალაქო მმართველობა სხვა-და-სხვა ღონისძიებასა ხმარობს: ჰგზავნის თავის აგენტებს, მიჰმართავს პოლიციას, შეუკრავს ქირებს, ტიშვიათად ჰყიდის კიდეც მამულს და სხვა. მაგრამ ერთგვარად არ ექცევა მდიდარსა და ღარიბს: უკანასკნელთა წინააღმდეგ მეტ წილად სასტიკ ღონისძიებასა ხმარობს, დიდისა და საშუალო შეძლების პატრონთ-კი ერიდება.

ეს კიდევ ცოტაა: როგორც იცით, „ნედოიმკის“ პატრონმა ჯარიმაც უნდა გადაიხადოს. ვისზედაც სახელმწიფო გადასახადების „ნედოიმკა“ ირიცხება, მას, კანონით, ჯარიმა ერთი პროცენტი გადახდება თვეში, წელიწადში-კი 12°/₀; ჩვენს საბჭოს-კი 6-7 წლის წინად დაუდგენია, რომ ჯარიმად უნდა გადახდეს „ნედოიმკის“ პატრონს წელიწადში 9°/₀! ასეთი მცირე ჯარიმა სრულიადაც ვერ დააშინებს ჯიბე გასქელებულ სახლის პატრონთ და რაღა საკვირველია, რომ მათზე წლიდან წლამდე დიდძალი გადაუხდელი ფული რჩება...

საბჭოში, ხსენებულ სხდომაზე, ორიოდე ხმოსანმა გაჰბედა და სთქვა, სასტიკი ღონისძიება ვიხმაროთ და „ნედოიმკა“ ყველასგან ავილოთო; მაგალითად, გაზეთებში გამოვაცხადოთ „ნედოიმშჩიკ“-ების გვარები, ქირები შევუკრათ, მამული გავუყიდოთო და სხვა. უმრავლესობამ მაშინვე ყოყმანი დაიწყო: „неудобно და несимпатичная мѣра“— და სხვა ამგვარი. რასაკვირველია, ეს „неудобно“ ნაძალადევის ან ავლაბრის ღარიბლატაკს არ შეეხება, ეს სოლოლაკელ ბობოლაზეა ნათქვამი. ნაძალადეველსა და ავლაბრელ ღარიბს ან სხვა კუთხის ღატაკს ძველებურად ქირასაც შეუკვრენ და ტყავსაც აძრობენ ჯარიმით; სოლოლაკელს-კი „напоминаніе“-თი გაუთავებენ საქმეს.

აი, ეს მაგალითი, რომელზედაც მოგახსენებდით, და რომელიც საკმაოდ ახასიათებს ახლანდელ თვითმმართველობის ცალმხრივობასა და მიმართულებას.

**გან**

## ქუთაისის ქალაქის საბჭო

22 სექტემბერს ქალაქის მოურავმა აუწყა საბჭოს დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ავადმყოფობა. მოურავმა წინადადება მისცა საბჭოს გადაიხადოს პარაკლისი დიდის მთავრის სრულიად განსაკურნებლად. შემდეგ საბჭომ უცვლელად მიიღო კომისიის მიერ განხილული პირობის პროექტი შესახებ

# ფელეტონი

## პრესსა და ლიტერატურა ინგლისში

### IV

### სახალხო გაზეთები *)

კარგა ხანია სახალხო გაზეთი გაჩნდა ინგლისში. უკვე ვწერდით, რომ პამფლეტი წინამორბედი იყო გაზეთისაო. ეს საზოგადოდ, კერძოდ-კი კანონიერი მემკვიდრე და მოადგილე პამფლეტისა ინგლისში სახალხო გაზეთია.

ყველაზე უფრო გავრცელებული და გავლენიანი სახალხო გაზეთებს შორის „კლერიონია“. ეს გაზეთი კვირაობით გამოდის. მაგრამ მკითხველნი პარასკევიდანვე მოუთმენლად მოელიან „თავიანთ გაზეთს“. 1896 წელს ენდრიუ რეიდ მასალასა ჰკრებდა სახალხო პრესსის ისტორიისთვის. რეიდმა სთხოვა მუშებს ეცნობებინათ, რა გაზეთს ამჯობინებენ და რა მიზეზით. უმრავლესობამ „კლერიონი“ დაასახელა. „კლერიონი“ ისევე საჭიროა ჩემთვის, როგორც ჩემი ძველი ჩიბუხიო“, სწერდა ერთი თაყვანის მცემელი. „დიდ ხანს, სწერდა მეორე, წყვდიადით ვიყავ მოცული და არა მესმოდა-რა ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენისა. მას შემდეგ-კი, რაც „კლერიონის“ კითხვა დავიწყე, თვალთ ამეხილა.“ „კლერიონი“ ძველი მეგობარია, რომელსაც ყოველ წამს ახალ-ახალი ღიმილი უქრის ტუჩებზეო“, პოეტურად იწერებოდა მესამე. ერთმა მუშამ გადაჭრით გამოაცხადა, რომ „კლერიონი“-სთანა გაზეთი არც ყოფილა, არც არის და არც იქნებაო. საყურადღებოა ისიც, რომ „კლერიონ“-ს უბრალო ხალხს გარდა შუა და მაღალ საზოგადოების წარმომადგენელნიც კითხულობენ.

პოლიტიკას გაზეთი არ ეტანება. „კლერიონი“ იმასა სცდილობს უმთავრესად, რომ მკითხველს თვალთ აუხილოს, განუვითაროს გონება, გაუფართოვოს თვალთა ხედვის მოედანი, ასწავლოს ავის კარგისაგან გარჩევა. გაზეთი მკითხველებს ესაუბრება დემოკრატიის მიზანსა, იმის მომავალსა და სხვა ამგვარ საგნებზე. როგორც მეთვრამეტე საუკუნის პამფლეტისტები, „კლერიონი“ ხშირად ხმარობს ძლიერ იარაღს—სარკაზმს. გაზეთი არც თავის მკითხველთა შვილებს ივიწყებს. ყოველ ნომერში იბეჭდება პატარა ამბავი ან მოთხრობა ბავშვებისათვის. „ეს პატარა მოთხრობები ნამდვილი შედევრებია საბავშვო ლიტერატურისა: ყველას აშკარად ეტყობა, რომ მოსიყვარულე გულის პატრონმა, მხატვრულ ნიჭით აღჭურვილმა და ბავშვის ფსიხოლოგიის მცოდნე მწერალმა შეჰქმნა“. გაზეთის თვითეულ ნომერში უსათუოდ საპედაგოგიო წერილიც არის მოთავსებული. ავტორი უმტკიცებს ხშირად შვილების პატრონ მუშას, რამდენად ცუდია ბავშვის ცემა, რამდენად მოვალეა მამა ან დედა ბავშვს კარგად მოუაროს და სხვა. გაზეთს იმიტომ ჰყავს ბევრი მკითხველი და იმიტომ უყვარს ხალხს, რომ ყველაფერზე უბრალოდ და მარტივად სწერს და არც ერთ წერილს ქადაგებისა დ დოქტრინიორობის ბეჭედი არ აზის.

ამ სახალხო გაზეთის სულის ჩამდგმელი ოთხი კაცია: ორი ძმა ბლეტჩფორდ, ა. მ. ტომსონ და რ. ფეი. დააარსა გაზეთი რობერტ ბლეტჩფორდმა. საინტერესოა ამ კაცის ბიოგრაფია. იმისი დედა და მამა „მოხეტიალე“ არტისტები იყვნენ. ბავშვი პირველ ხანს სახელოსნო სკოლაში დადიოდა, მაგრამ 11 წლისა რომ შესრულდა, ლუკმა პური საძებარი გაუხდა. ჯერ შეგირდად შევიდა ღარიბ სახელოსნოში, მერე მაუდის ქარხანაში გადავიდა, შემდეგ მოხეტიალე არტისტობა დაიწყო, ხოლო ბოლოს, როდესაც ოცის წლისა შესრულდა, უადგილოდ დარჩა: არც სადგომი მოეპოებოდა, არც სასმელ-საჭმელი, არც ტანთსაცმელი და არც სხვა რამე. ახალგაზდა კაცმა თავისდა უნებურად შეისწავლა და გაიცნო ის ადგილები, სადაც ღარიბ-ღატაკნი ბუდობენ და აღამ-ათენებენ თავიანთ მწარე დღეებს. აქ, ამ ადგილებში, შეისწავლა ხალხური შაირები, მოსწრებული სიტყვა-პასუხი, ოხუნჯობა. გაიგო თვით ხალხის სული და გული. ყველა ეს შემდეგში გამოიყენა, მწერლობის ასპარეზზე. ძალიან უყვართ მკითხველებს ბლეტჩფორდის ნაწერებში ხალხური ოხუნჯობა და მოსწრებული სიტყვები.

ბოლოს ბლეტჩფორდი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ ორი გზა-ღა ჰქონდა: ან სადმე ახალშენში უნდა გადასახლებულიყო ან ჯარისკაცად შესულიყო. რობერტმა ჯარის კაცობა არჩია. ექვსი წელიწადი იყო ჯარის-კაცად. ყაზარმებში მთელ ღამეს ათევდა წიგნის კითხვაში და გონებას იმდიდრებდა. კითხულობდა აუარებელს, სწავლობდა უცხოქვეყნის ენებს და სხვ. ბოლოს ეგზამენი დაიჭირა ოფიცრობაზე, მოწმობა მიიღო და სამხედრო სამსახურს სრულიად თავი მიანება. ჯერ ისევ ყაზარმაში ყოფნის დროს ბლეტჩფორდმა ორიოდე წერილი გაუგზავნა ერთ გამოცემას. შინაარსი ჯარის-კაცთა ცხოვრებას შეეხებოდა. წერილებმა ყველას ყურადღება მიიქცია და გამომცემელმა ბლეტჩფორდი ჯერ თანამშრომლად, მერე რედაქტორად მიიწვია. დაუნიშნა წელიწადში 10,000 მანეთი. უშინაარსო, სრულიად უცნობი გაზეთი ბლეტჩფორდმა ხელად ფეხზე წამოაყენა. გაზეთი მალე გავრცელდა, მაგრამ ახალმა მიმართულებამ გამომცემელი დააფრთხო. ურჩია რედაქტორს, ცოტა რბილად მოქცეულიყო და ზოგიერთ საგნებს სულ არ შეჰხებოდა. ბლეტჩფორდმა ათასი თუმანი ჯამაგირი არაფრად ჩააგდო და გაზეთს თავი მიანება. აი, რობერტმა მაშინ დააარსა თავის ძმასთან ერთად „კლერიონი“.

რობერტ ბლეტჩფორდი ძალიან ნიჭიერი კაცია. ყველაფერზე ხელი მიუწვდება. ისე ნომერი არ გამოვა გაზეთისა, რომ იმისი წერილი არ იყოს. რაც უნდა ძნელ საგანს მოჰკიდოს ხელი, მეცნიერების რა დარგიც უნდა იყოს, ისე ახსნის და განმარტავს, რომ ბავშვიც-კი გაიგებს. პოლემიკაში დაუმარცხებელი მებრძოლია. ებრძვის ძალიან ხშირად დემოკრატიის მტრებს, ამასთან ბლეტჩფორდს არას დროს არ ავიწყდება, რომ საქმე მოწინააღმდეგის აზრთანა აქვს: პიროვნება იმისთვის ხელუხლებელია. ყველა ამას გარდა ბლეტჩფორდი ბელეტრისტი და პოეტია. რამდენიმე იმისი წიგნი ცალკე გამოცემული. ერთში, მაგალითად, ფანტასტიური მოთხრობებია მოქცეული, მეორეში პამფლეტები. სახელად ამ უკანასკნელს „მხიარული ინგლისი“ ჰქვიან. ამ წიგნისა პირველ კვირაშივე 100 ათასი ცალი გაიყიდა. ერთი წლის შემდეგ გაყიდული იყო 700 ათასი ცალი. წიგნი გადათარგმნილია გერმანულს, ჰოლანდიურს, დანიურსა და ესპანიურ ენებზე. ავტორი დემოკრატიასა და დემოკრატიულ პრინციპებზე საოცარის მარტივის ენითა სწერს. რობერტი ოპტიმისტია, სწამს, რომ ქვეყანა წინ მიდის, რომ არიან იდეალისტები ქვეყნისა და ხალხისათვის თავდადებულნი. ასეთები იყვნენ გალილეი, ნიუტონი და სხვანი. ასეთი ოპტიმიზმი მკითხველსაც ჰხიბლავს ამხნევებს და იმედით ავსებს. ასეთია პირველი თანამშრომელი სახალხო გაზეთისა. მეორე თვალსაჩინო თანამშრომელი „კლერიონისა“ ა. მ. ტომსონია (ფსევდონიმი—დენგლ), ავტორი შესანიშნავ პამფლეტებისა. ერთ

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2267.

იმისა, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღონ ქალაქისა და ქიათურის შავი-ქვის მრეწველთა საბჭოებმა საქიმიო ლაბორატორიის აშენებასა და მართვა-გამგეობაში, ამასთანავე დაადგინა, სთხოვოს ლაბორატორიის მომავალს გამგეს პროფესორს ვ. მ. პეტრიაშვილს, რომ რამდენისამე ხნით ჩამოვიდეს ქუთაისში და დაეხმაროს ლაბორატორიის შენობისათვის ადგილის ამორჩევაში.

საბჭოს მოხსენდა ის ცვლილებანი, რომელიც საქალაქო საქმეთა საკრებულოს მოუხდენია ქალაქის მიერ წარდგენილს ამა წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვაში. ხარჯთ-აღრიცხვიდან, სხვათა შორის, გამორიცხულია 100 მანეთი, რომელიც საბჭოს დადგენილებით უნდა მისცემოდა ჩვენს მსახიობს ვ. მესხიშვილს საექიმოდ საზღვარ-გარედ წასვლის დროს, და ის ყოველ-წლიური 100 მანეთიც, რომელსაც საბჭო შეჰპირდა სტუდენტების დამხმარებელ საზოგადოებას. საბჭომ დაადგინა, ეს ხარჯები შეტანილ იქმნეს მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში. შემდეგ საბჭომ 20 ხმის უმეტესობით 3-ის წინააღმდეგ შეიწყნარა ქუთაისის პოლიცმეისტრის თანაშემწის თხოვნა და დაადგინა, ყოველწლიურად ეძლიოს იმას სადგომის საქირავებელ ხარჯათ დამატებითი 120 მანეთი (ეხლა იღებს 180 მანეთს). ქალთა სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭო თხოულობდა 1105 მანეთს იმ ზედმეტ შრომის ფასად, რომელსაც მასწავლებელნი სწევენ პარალელურ კლასების დაარსების გამო. ის ფული, რომლითაც ქალაქი მეორე სასწავლებლის დაარსებას აპირებდა, მაგრამ ვერ მოახერხა,—ჩვენ მოგვეცითო, ამბობს საპედაგოგიო საბჭო. თუმცა, როგორც გამგეობა, ისე საბჭო კანონიერად სცნობდნენ, ზედმეტის შრომისთვის რამდენადმე მაინც დაეჯილდოვებინათ მასწავლებელნი, მაგრამ უსაშუალობის გამო უმეტესობა იმ აზრისა იყო, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა მომავალის წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის შედგენამდის გადადებულიყო.

ბოლოს, თანახმად გ. ფ. ზდანოვიჩის წინადადებისა, საბჭომ დაადგინა, მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტში მაინც უსათუოდ შეტანილ იქმნას მასწავლებლების დამატებითი ჯილდო. საბჭომ ერთხმად შეიწყნარა ბავშთათვის მზრუნველ საზოგადოების თავმჯდომარის ტ. ი. ნაზაროვის თხოვნა, რომ მოაჭრევინოს საღორიის ტყეში რამდენიმე საჟენი წნელი თავშესაფარის ეზოს შემოსაკავებლად. შემდეგ განხილულ იქმნა რამდენიმე თხოვნა, რომლითაც სიღარიბის გამო კერძო დახმარებას თხოულობდნენ, რაზედაც საბჭომ ჩვეულებრივი დადგენილება მოახდინა: უსაშუალობის გამო უარი გამოეცხადოთ მთხოვნელებსაო.

**დონ-ვალიანი**

## რუსეთის ქრონიკა

✦ საერო განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ 1904 წლის 4 აპრილის მიწვეულ იქმნება ნიურენბერგში (გერმანია) პირველი საერთაშორისო კონგრესი სასკოლო ჰიგიენისა.

✦ მომავალ წელში დაიწყება პირველ რიგას გუბერნიებში საგუბერნიო დაწესებულებათა რეფორმა.

✦ პეტერბურგში დაბრუნდნენ პოლკოვნიკი რუდენკო და ბ-ნი ლისოვსკი, რომელნიც სამხედრო კომისიამ გაჰგზავნა სამხედრო უწყების მუშათა მდგომარეობის გასაცნობად. რუდენკოსა და ლისოვსკის შემოუვლიათ სხვა-და-სხვა ქალაქები, სადაც სამხედრო ქარხნებია გამართული, და ბევრი ახალი და საინტერესო ცნობები შეუკრებიათ მუშების მდგომარეობის შესახებ.

✦ საზღვარ-გარეთიდან ატყობინებენ რუსეთის გაზეთებს, რომ განსვენებულ სახელგანთქმულ რუსეთის მხატვრის, ნ. ნ. გეს შვილმა გამოჰფინა ჟენევაში მამა მისის დახატული სურათი „ჯვარცმა“, რომლის გამოფენა აკრძალული იყო რუსეთში. სურათი ღრმა-აზრიანია და ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებლებზე.

✦ „ოდესკ. ნოვ.“-ს შეუტყვია, რომ უმაღლეს სპეციალურ სასწავლებელთ, რომელნიც დღეს ფინანსთა სამინისტროს უწყებაში არიან, ახალ წლიდან საერო განათლების უწყებაში გადასცემენ.

✦ პეტერბურგში უკვე დაუწყიათ გლეხთა შესახებ კანონმდებლობის გადასინჯვა.

✦ ჩვენის გაზეთის გუშინდელს ნომერში ვაუწყეთ მკითხველებს, რომ მოსკოვის ოლქის სასამართლოში დაიწყო უნივერსიტეტში კურს-დასრულებულ იურისტის, ტატიშჩევის საქმის გარჩევა. ტატიშჩევს არხივიდან საისტორიო დოკუმენტების მოპარვა ჰბრალდება. ტატიშჩევს, ჯერ კიდევ უნივერსიტეტში რომ სწავლობდა, გაუცვნია არხივის გამგე და ამ უკანასკნელს ნება მიუცია მისთვის არხივში ემუშავნა. ტატიშჩევმა 1901 წელს დაიწყო მუშაობა და განსაკუთრებულ ყურადღებით იმ წიგნს ეკიდებოდა, სადაც იმპერატორ იოანე მესამის ბრძანებანი იყო დაცული. ეს წიგნი შემთხვევით, რამდენისამე წლის განმავლობაში ტატიშჩევის მეტს არავის არ მოუთხოვნია. შემდეგ არხივის ერთ მოხელეს უნახავს წიგნის მაღაზიაში ამ წიგნიდან ამოჭრილი „ბრძანებანი“. გამოიძიეს საქმე და აღმოჩნდა, რომ ტატიშჩევს მიუყიდნია ეს დოკუმენტები წიგნებით მოვაჭრისათვის.

✦ ვარშავაში ამას წინად ხმა გავრცელდა, ამა და ამ სახლში ყუთი იპოვეს, რომელშიაც ვიღაც უცნობის კაცის გვამი აღმოაჩინესო. პოლიციამ გამოიძია ეს საქმე და მართლა მიაგნო აღნიშნულ ადგილს დიდ ყუთს, მაგრამ ამ ყუთში ადამიანის გვამის მაგიერ კუბო იყო ჩადგმული და ზედ შემდეგი წარწერა ჰქონდა: „იან მოლტენი, იცოცხლა 42 წელი, გარდაიცვალა 1903 წელს“. ეს მოლტენი ცოცხალი ყოფილა და იქვე ეზოში მდგარა. მოლტენი ელექტრო-ტეხნიკია. მან გამოუცხადა პოლიციელთ, თავის მოკვლა გადავწყვიტე და იმიტომ ვიყიდე ეს კუბოო. ამ ჟამად პოლიციელები თვალ-ყურს ადევნებენ მოლტენს, რომ თავისი განზრახვა არ აასრულოს.

## პრესსა

ახალ ინგლისურ ჟურნალში, „ინდეპრევიუ“-ში დასტამბულია სახელგანთქმულ გერმანულ ისტორიკოსის პროფ. მომსენის წერილი შემდეგის სათაურით: „გერმანელი-ინგლისელთა მიმართ“.

რამდენისამე წლის წინად,—ამბობს პროფესორი მომსენი—ერთმა ფრანგმა სახელმწიფო მოღვაწემ სთქვა: „არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხალხთა შორის მშვიდობიანობის ჩამოგდება შეუძლებელი გახდება, ასე გამუდმებით თუ წავაქეზებთ ხალხებს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ“. ეს სიტყვები იმ დროს საფრანგეთსა და გერმანიას შეეხებოდა, დღეს კი ინგლისსა და გერმანიას შეეხება. ჩვენ საშინელი საფრთხე მოგველის, საქმე თუ ისე წავიდა, როგორც დღემდე მიდიოდა, თუ წინანდელივით ეს ორი ერი არ ენდობა ერთმანეთს, და ყოველ უთანხმოებას საპოლემიკო საშუალებად გაიხდის. საფრთხე მოგველის, თუ პრესსა ამ უთანხმოებას გააზვიადებს და ორ მოძმე ერს ერთმანეთს მიუსევს. საქმე თუ ისე წავიდა, როგორც დღემდე მიდიოდა, ამ ორ ხალხთა შორის სასტიკი ომი ასტყდება.

შემდეგ მომსენი ამბობს, არ მესმის, რამ ჩამოაგდო მტრობა ინგლისსა და გერმანიის შორის. ახალგაზდობაში ჩემი ცხოვრების მიზანი ხალხთა შორის საღმრთო კავშირის შექმნა იყო და ახლაც, სიბერის დროსაც, ეს მიზანია ჩემი ცხოვრების მანათობელი ლამპარი. გერმანელები და ინგლისელები ხელი-ხელ გაყრილნი უნდა მიისწრაფოდნენ საერთო მიზნისაკენ. ინგლისურ ენაში ბევრი საქსონური შთამომავლობის სიტყვებია, შექსპირი როგორც ინგლისში, აგრეთვე გერმანიაში, უმაღლეს გენიოსად ითვლება, ჩვენის პოეზიის შემოქმედად.

მომსენი სცდილობს გაამართლოს გერმანელები, რომლებიც ჰკიცხავდენ ინგლისელებს ბურებთან უსამართლო ომისათვის. ინგლისელებს უნდა ახსოვდეთ ის გარემოება, რომ ბურები ჩვენი მონათესავე ხალხია და რომ ინგლისელები მართლა სათაკილო გზას ადგნენ ბურებთან ომის დროს. დასასრულ მომსენი იწვევს ინგლისელებს, დავივიწყოთ ჩვენი ძველი მტრობა და საერთოდ, მეგობრულად ვიღვაწოთ კაცობრიობის საკეთილდღეოდაო.

⁂

რუსეთის გაზეთებში დასტამბულია ტავრიდის გუბერნატორის ტრეპოვის შემდეგი სიტყვა, რომლითაც მან მიმართა სოფ. კამენკას თორაში თავ-მოყრილი ებრაელთ.

სიამოვნებით დავესწარი თქვენს ღვთის-მსახურებას და უნდა გამოგიცხადოთ, რომ თქვენ სამტროდ არ მოვსულვარ აქა. მე თავიდანვე საჭიროდ ვსცანი მეტი თავისუფლება მიმეცა იმ ებრაელთათვის, რომელნიც დროებით ებრაელთა ბინადრობის საზღვარს გარეშე ცხოვრობდნენ. სამწუხაროდ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ თქვენმა მოძმეებმა გამიცრუეს იმედი. ყველგან, ყველა არეულობაში ებრაელები არა მარტო იღებდნენ მონაწილეობას, არამედ მეთაურებადაც გამოდიოდნენ. მე კარგად მესმის, რომ თქვენ და თქვენ მოძმეებს სამძიმოდ მიგაჩნიათ თქვენთვის გამოცემული შემავიწროებელი კანონები, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ამ გზით თქვენ ვერ მიაღწევთ საწადელს, ვერ შეაცვლევინებთ ამ კანონებს, პირიქით, უარეს მდგომარეობაში ჩავარდებით. არ უნდა დაჰკარგოთ იმედი, რომ სასურველ თანასწორობას მიაღწევთ, და ერთად-ერთი გზა სხვებთან თანასწორობის მოსაპოებლად თქვენთვის—პატიოსანი ყოფაქცევაა, რომლითაც მთავრობის ნდობას დაიმსახურებთ.

## თეატრი

ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა ქუთაისშიაც გამართოს წარმოდგენები. ამ აზრით, გამგეობა აიყვანს ქუთათურ მსახიობთ, შვიდ თუ თუ რვა კაცს, და აქედან გაგზავნილ არტისტებთან ერთად გაჰმართავს წარმოდგენებს. რეჟისორობა და წარმოდგენების მართვა ქუთაისში მიენდობა ვლ. ალექსი-მესხიშვილს, რომელიც თვეში ერთხელ ტფილისშიაც ითამაშებს. სულ ქუთაისში განზრახულია თვეში ექვსიდან რვა წარმოდგენის გამართვა. გამგეობას, როგორც გადმოგვცეს, აზრადა აქვს, თუ მოხერხდა, თვეში თითო ან ორ-ორი წარმოდგენა ფოთსა და ბათუმშიაც გამართოს.

—

ავლაბრის ახალ თეატრის კურთხევას კვირას, 28 სექტემბერსა ჰფიქრობენ. ამ დღეს გაიმართება სომხურ-ქართულ-რუსული წარმოდგენა. სათეატრო დარბაზი მოთავსებულია მეორე სართულში. სულ თეატრში 500 ადგილია, პირველ რიგის ბილეთი ეღირება 2 მანეთად, უკანასკნელისა 30 კაპ. თეატრი ელექტრონით იქმნება განათებული.

—

მოგვივიდა შემდეგი წერილი: „სიხარულით და მოუთმენლად მოველოდით 21 სექტემბერს. ამ დღისთვის წარმოსადგენად დანიშნული იყო „სამშობლო“. საუბედუროდ, სიხარული მწუხარებად შეიცვალა. მოგეხსენებათ, ყველას იმდენი შეძლება არა აქვს, რომ დიდ ფასიანი ბილეთი იყიდოს და ზოგს კიდევ მოცალეობა არა აქვს,

---

ცალკე წიგნაკადაც დაიბეჭდა და ასი ათასობით გაიყიდა. უფრო საყურადღებოა ამავე ავტორის პატარა მოთხრობები, აგრეთვე ცალკე წიგნაკად გადაბეჭდილი. „კლერიონი“ იმითაც არის საყურადღებო, რომ თანამშრომელნი, ყველანი, ხალხიდან გამოვიდნენ, იმის სისხლხორცნი არიან.

სხვა ხასიათისაა მეორე სახალხო გამოცემა „რეინოლდის გაზეთი“. უმთავრესს ყურადღებას ეს გაზეთი პოლიტიკას აქცევს, სცდილობს აგრეთვე მკითხველთა გონების გამდიდრებას. დაარსდა ოცდა ხუთის-ოცდა ათის წლის წინად. პირველ ხანს ორპოფა გაზეთი იყო, გამოურკვეველის ფიზიონომიით. ეხლანდელი მიმართულება გაზეთმა მიიღო მაშინ, როდესაც სათავეში ჩაუდგა ახალგაზდა და ნიჭიერი ვექილი ვილიამ ტომსონი. სოცარის პოპულიარიზატორის ნიჭით არის დაჯილდოვებული ტომსონი. ყველა ნომერში მოთავსებულია ფილოსოფიური ან ისტორიულ-ლიტერატურული წერილები ტომსონისა, ისე ნათლად და მარტივად დაწერილი, რომ ყველას კარგად ესმის. საყურადღებოა ამავე ავტორის „დემოკრატიული საკითხავები“. ეს წიგნი მოკლე ისტორიაა კაცობრიობის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებისა. იგი 29 ეტიუდს შეიცავს. თვითეულში ავტორი ეხება დიდებულ მოღვაწეებს, კაცობრიობის წინამძღოლებს და ახასიათებს იმათ მოძღვრებებს. ავტორი იწყებს ზოროასტრიდან, აცნობს მკითხველს კონფუცის, აღმოსავლეთის ფილოსოფიას, შემდეგ საბერძნეთის ფილოსოფიას: სოკრატისა, პლატონისა და არისტოტელის მოძღვრებებს. მერე ავტორი შუა საუკუნოებში გადადის, ასწერს სხოლასტიკოსების სწავლას, მერე ახალ საუკუნოების მოძღვრებას და ასე კარლ მარქსსა და ჰერბერტ სპენსერამდე. ისე მარტივად, გასაგებად და ნიჭიერად დაწერილია ეს წიგნი, რომ უკეთესი საკითხავი უბრალო ხალხისთვის არ შეიძლება.

მეორე ნიჭიერი თანამშრომელი გაზეთისა კანინჰამ გრაამია. 1886 წელს ტრაფალგარსკვერში დიდი შეტაკება მოხდა ხალხსა და პოლიციას შორის. ძალიან დაშავდა ამ დროს ვიღაც უცნობი ჯენტლემი. ეტყობოდა, ლონდონში ახლად ჩასული იყო, რადგან სახე ძალზე დამწვარი ჰქონდა მზისაგან. უცნობი კანინჰამ გრაამი აღმოჩნდა. ის იყო სამხრეთ-აფრიკიდან მოსულიყო და მაშინვე შეტაკებაში მოჰყოლიყო. გრაამმა საუცხოვო განათლება მიიღო: გაათავა კემბრიჯის უნივერსიტეტი. პირველ ხანს ვექილობა დაიწყო, მაგრამ მალე მოჰბეზრდა. გრაამმა, არც აციავა, არც აცხელა, მიანება თავი ვექილობას, გაჰყიდა მთელი თავისი საცხოვრებელი და სამხრეთ-ამერიკაში ამოჰყო თავი. იქ მიყრუებულ და მივარდნილ ადგილას ქოხი დაიდგა, შეირთო ნახევრად ველური ქალი და შეუდგა „ველურ ცხოვრებას“. იმისი ცოლი მინდვრის შვილი იყო, საუცხოვოდ იცოდა ცხენზე ჯდომა, ამასთან ხშირად უნაგირს არც-კი საჭიროებდა, და ისეთი ღონიერი იყო, რომ ერთის მუშტის შემოკვრით მოზვერს წააქცევდა. ასეთ ცხოვრებაში განვლო თოთხმეტმა წელიწადმა, მაგრამ მალე გაიღვიძა ხელ-ახლა მოუსვენარმა სულმა. გრაამმა მიჰყიდ-მოჰყიდა თავისი ხარები და ცხენები და სწორედ იმ დღეს, რა დღესაც ტრაფალგარ-სკვერში შეტაკება მოხდა, ცოლიანშვილებიანმა ლონდონში ამოჰყო თავი. ამ დღეს გრაამს თავი გაუტეხეს. მაგრამ არც ეს აკმარეს და დიდი ჯარიმა დაადეს.

ლონდონში დაბინავებისათანავე კანინჰამ გრაამმა საჟურნალო მოღვაწეობას მიჰყო ხელი. მალე დაუახლოვდა ვილიამ მორისს, ვ. ტომსონს, კეირ-ჰარდის და ხალხის სხვა მეგობრებს. გრაამის ყველა წერილი ხალხის უანგარო სიყვარულით არის გამსჭვალული. ავტორი მზადაა თავი დასდოს დემოკრატიისთვის. ერთ ხანს გრაამის საჟურნალო მოღვაწეობა შესწყდა: პარლამენტის წევრად აარჩიეს. როგორც ორატორი გრაამი ბევრად სუსტია ჟურნალისტზე. 1892 წელს გრაამმა ხელახლად მიჰყო ხელი ჟურნალისტობას, რადგან დეპუტატად აღარ აარჩიეს.

უძველესი სახალხო გაზეთი ინგლისში „ყოველ-კვირეული ტაიმს“-ია. 1897 წელს ამ გაზეთმა 50 წლის იუბილეი გადაიხადა. გაზეთი იმ დროს გაჩნდა, როდესაც ჩარტისტთა მოძრაობა დაამხეს და ამის გამო ყველა სასოწარკვეთილებას მიეცა. დიდი საქმე მოელოდა გაზეთს: იმედ დაკარგული ხალხი უნდა გაემხნევებინა, უნდა დაემტკიცებინა იმისთვის, რომ ერთხელ დამარცხება არა ჰნიშნავს საქმის სრულიად წაგებას. მალ-მალ სწერდა, ჩვენი გამარჯვება მომავალშიაო. განვლო 50 წელიწადმა და გაზეთის წინასწარმეტყველება სავსებით გამართლდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ისეთი რეფორმა განხორციელდა, რაც ჩარტისტებს სიზმრადაც-კი არ მოელანდებოდათ. ორმოცდა ათი წელიწადი გაზეთი ზრდიდა და ამზადებდა ხალხს. ერთხანად სახელი გაითქვა ამ გაზეთის ბელეტრისტიკამ. მაშინ მოხდა ეს, როდესაც გაზეთში თანამშრომლობდა ბლანშარი. რომანებსა სწერდა, მაგრამ ისეთს, რომ მკითხველი თავს ვერ აიღებდა, სანამ ბოლოში არ ჩავიდოდა. რომანი სავსე იყო სახიფათო ამბებით, მგზავრობებით, განსაცდელებით. ამის-და-მოუხედავად, ბლანშარი არ ივიწყებდა მაღალ პრინციპებს და თავის რომანებით კარგ აზრებს უნერგავდა მკითხველს. ხუთშაბათიდან მოუთმენლად მოელოდნენ მკითხველნი ნომერს, ყველას უნდოდა გაეგო, რა დაემართა გმირს—ზღვაოსანს, ჯარის-კაცს ან მუშას. ამავე დროს რედაქტორიც გაცხარებული დაეძებდა რომანისტს. უცნაური კაცი იყო ბლანშარი. ბევრ ფულს იღებდა, მაგრამ არასოდეს ფული არა ჰქონდა, არავინ არ იცოდა, სად სცხოვრობდა, სად ათენებდა ღამეს და აღამებდა დღეს. რომანს ფელეტონებად სწერდა. დადგებოდა თუ არა ხუთშაბათი, რედაქციის კაცები შეუდგებოდნენ იმის ძებნას. ბევრის ძებნის შემდეგ ბლანშარს იპოვნიდნენ ხოლმე ან „ველურთა „კლუბ“-ში, ან რომელსამე ტრაქტირში, სადაც მოვალეებს ემალებოდა, ან კიდევ სხვაგან სადმე. ჩასვამდნენ დახურულ ეტლში, მიიყვანდნენ რედაქციაში და ჩაჰკეტავდნენ ცალკე ოთახში. სამის საათის შემდეგ მზად იყო რომანის გაგრძელება.

1892 წელს ინგლისში დაარსდა„ მუშათა დამოუკიდებელი დასი.“ დასმა გადასწყვიტა, პარლამენტში და არჩევნების დროს იმ უმთავრესს დასს (სულ ერთია, კონსერვატორები იქმნებიან თუ ლიბერალები) დაუჭიროს მხარი, რა დასიც უფრო სასარგებლო იქმნება მუშათა მოძრაობისათვის. დასის მეთაურობა იტვირთა მხნე შოტლანდიელმა კეირ-ჰარდიმ. წინად კეირ-ჰარდი მაღაროს მუშა იყო, დღეს პარლამენტის დეპუტატი და ჟურნალისტია. სახელი კეირ-ჰარდიმ ახალგაზრდობაშივე მოიპოვა, მუშათა მიტინგებზე. ყოვლად პატიოსანი კაცია. „მუშათა დამოუკიდებელმა დასმა“ 1892 წელს აარჩია პარლამენტში. მაღაროს მუშის განიერმა მხრებმა, მჭექარმა, ძლიერმა ხმამ, ხალხურმა ოხუნჯობამ პირველადვე მიიქცია დეპუტატთა ყურადღება. 1893 წელს კეირ-ჰარდიმ დააარსა გაზეთი „ლებერ ლიდერ“. იგი დასის ოფიციალურ ორგანოდ გადაიქცა, კეირ-ჰარდიმ ჟურნალისტის ასპარეზზედაც ისახელა თავი.

ბევრი სხვა სახალხო გაზეთიც არსებობს ინგლისში, მაგრამ უმთავრესი ესენია.

**ი. ძე—ა.**

(შემდეგი იქმნება)

რომ საქმის დღეს გვიდეს და ბილეთი აიღოს კასსაში. ამის გამო კვირას საღამოს დიდძალი ხალხი მიაწყდა კასას მაგრამ, იაფ ფასიანი ბილეთები გაყიდული აღმოჩნდა: ჩარჩებმა შეიძინეს ოც-ოცდა-ათი ცალი და ამ საღამოს მთელი ვაჭრობა გააჩაღეს. თეატრის ეზო ნამდვილი იარმუკა გეგონებოდათ. ყველას გულით და სულით უნდოდა თეატრში შესვლა, ამიტომ იხდიდნენ დიდ ფულს და ყიდულობდნენ ჩარჩებისაგან ბილეთებს. საინტერესო იყო იმ საღამოს ჩარჩების ლაპარაკი: ერთი ეუბნებოდა მეორეს, მე ოცდა-ხუთი მანეთი მოვიგეო, მეორე—სამ თუმანს იძახდა, ზოგი 15 მ., ზოგი 10 მ. დრამ. საზოგ. გამგეობამ კარგად იცის, რომ „სამშობლოს“ იმეორებს, მაგრამ საჭიროა ამ ჩარჩებსაც მიაქციოს ყურადღება და როგორმე ბოლო მოუღოს.“

# სასამართლო

### თავდასხმა და მეარტელეს გაძარცვა.

1902 წელსა 1 თებერვალს, საღამოს 7—8 საათზე, რკინის გზის ტფილისის სადგურზე რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დაეცა მეარტელეს ვასილ შაშკოვს და მასთან მყოფ დარაჯს გრიცუკს და წაართვა 6098 მან. 98 კაპ. ბოროტ-განმზრახველნი ნაბდებში იყვნენ გახვეულნი. შაშკოვს ორჯელ ესროლეს რევოლვერი, მაგრამ ააცილეს. შემდეგ ჯოხები დაუშინეს თავში და როცა დასისხლიანებული შაშკოვი დაეცა, ხელიდან ფულიანი პარკი გამოსტაცეს და გაიქცნენ. დარაჯმა რევოლვერით იქვე მოჰკლა ერთი კაცი, რომელიც აღმოჩნდა სენაკის მაზრის სოფელ ბანძას მცხოვრები ხუხუ გაბუნია. დანარჩენნი დაიმალნენ. როდესაც მარტვილის ნაწილის ბოქაულს დვალს ამ თავდასხმის ამბავი გაუგია, ბანძას წასულა მოკლულ გაბუნიას მშობლების გამოსაკითხავად. მშობლებს ჯერ უთქვამთ, ჩვენი შვილი ლეჩხუმს წავიდა სამუშაოდაო, მაგრამ შემდეგ განუცხადებიათ, გავიგეთ შვილის მოკვლა, გვინდოდა ტფილისში წასვლა, მაგრამ შეგვეშინდა, ჩვენც რაიმე საქმეში არ გაგვრიონო. ამავე დროს საზოგადოების ყურადღება მიუქცევია სოფელ ინჩხუბის მცხოვრებთ ცაგუ და ვლადიმირ ცოცორიებს და ალექსანდრე ხაჟომიას, რომელნიც წინად ღარიბულად სცხოვრობდნენ, ეხლა-კი ფული ჰქონდათ. ბოქაული ალექსანდრე ხაჟომიას დასაჭერად წასულა. ამ უკანასკნელს გაქცევა მოუნდომებია, მაგრამ დაუჭერიათ და დასაპატიმრებლად გაუყოლებია დარაჯის ჭალაგანიძისათვის. დაპატიმრებული ხაჟომია საპყრობილეს ფანჯრიდან მუსაიფის დროს გამოუტყდა თურმე ჭალაგანიძეს. უთქვამს, შაშკოვი მე გავძარცვე და ჩემთან ერთად მოქმედებდნენ ცოცორიები და გაბუნიაო. ვლადიმირ ცოცორია გამოსტეხია ჭალაგანიძის ძმას მღვდელს ლაზარე ჭალაგანიძეს, რომლისათვისაც ბოქაულს დაუვალებია დახმარება. ჭალაგნიძეების მეოხებითვე ბოქაულს გაუგია, რომ ცოცორიები ტფილისში ყოფილან კონდუქტორის უკვე გარდაცვალებულის ეგნატე შამახიას ბინაზე. ბოქაული ტფილისში ჩამოსულა შამახიასას გამოსაკითხავად. ამ დროს შამახია ძალიან ავად ყოფილა ლაზარეთში. ცოლს, პელაგიას, უთქვამს, შაშკოვის გაძარცვის შემდეგ ჩვენს სახლში მოვიდნენ ვლადიმირ და ცაგუ ცოცორიები. სადილის დროს ისინი ამაზე ლაპარაკობდნენ, თუ თავს როგორ დაეცნენ მეარტელეს და გაძარცვეს. მეორე დღეს ჩემთან მოვიდა ცაგუ ცოცორია და შემეხვეწა ხაშურამდე წამეღო პარკში გახვეული ფული, რისთვისაც საჩუქარი დამპირდა. ამასთან მითხრა, მე გამჩხრეკავენ, შენ-კი ხელს არავინ გახლებსო. ხაშურამდე მართლაც ჩავუტანე ფული და იქ ამისათვის მაჩუქა 100 მან.

ყველა ამის გამო პასუხის გებაში მიუციათ ცოცორიები და ხაჟომია და აგრეთვე პელაგია შამახია, პასუხის გებაში მიუციათ აგრეთვე სენაკის მაზრის მცხოვრებნი: ილია კიზირია, ასანდ ხაჟომია და გიორგი გოლდავა.

ქუთაისის სასამართლოს ეს საქმე განუხილავს ამა წლის 23 აპრილს და გადაუწყვეტია: ცაგუ და ვლადიმირ ცოცორიებისა და ალექსანდრე ხაჟომიასთვის ყოველისავე უფლების ახდა და კატორგაში ექვს-ექვსი წლით გაგზავნა, ხოლო პელაგია შამახიასათვის— ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და საპყრობილეში 5 წლით დაპატიმრება. დანარჩენნი ასანდ ხაჟომია, გიორგი გოლდავა და ილია კიზირია სასამართლოს დამნაშავედ არ უცვნია. ბრალდებულთ საქმე გადაიტანეს სასამარლო პალატაში, რომელმაც განიხილა 25 სექტემბერს და ცოცორიებისა და ხაჟომიას შესახებ შეუცვლელად დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, ხოლო პელაგია შამახიას 5 წლის ნაცვლად 3 /₀ წლით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

—

გუშინ, 25 სექტემბერს, სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე თებრონია ქართველიშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებოდა. პალატამ დაამკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ქართველიშვილს 3 თვით საპყრობილეში დაპატიმრება აქვს გადაწყვეტილი.

—

18 ოქტომბრისთვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ბლალოჩინი მღვდლის კიღურაძისა, რომელსაც 60 წლის მოხუცებულ მღვდლის ჯაშის მოკვლა ჰბრალდება.

# დაბა-სოფლები

—

**ხევი** (დუშეთის მაზრა). ხევში მკას და თივის გროვებას ძლიერ-ხელი შეუშალა გამუდმებულმა წვიმებმა, რომელსაც თან მოჰყვა მთების ჩამოთოვლა. ამ თვის შვიდიდან დაწყებული მთელი ერთი კვირა გადულებლივ იწვიმა. მთების ჩამოთოვლით ძლიერ აცივდა, ამიტომ მოხევე მეცხვარეებმაც ცხვრები დაძრეს ბარისაკენ. წვიმა ისევ დაიწყო, მთის მწვერვალებზედ თანდათან უმატებს თოვლს.

ამას წინად სოფელ გერგეთის მთიდან, ცხენის ჯოგიდან, მოიპარეს თორმეტი ცხენი. ქურდებს ცხენები საქისტეთისკენ წაესხათ. ამბობენ, ცხენები შინაურმა ქურდებმა მისცეს ქისტებსაო.

**ქართველი ოსებში**

—

**სოფელი ციხე-სულორი** (ქვემო იმერეთი). ჩვენში ერთად-ერთ სალსარს (ცხოვრებისას შეადგენს სიმინდის მოსავალი. წრეულს მოსავალი გააფუჭა მუდმივმა წვიმებმა. წვიმამ თავის დროზე არ აცალა მუშას გაეთოხნა, ბალახი მოერია და გააფუჭა. ეხლა სიმინდში მუხლამდი წყალია და კიდევ კოკის პირული წვიმა მოდის მაღლიდან. ეჭვი არ არის, შიმშილი მოელის წელს მცხოვრებთ. აქეთ ვენახებს, როგორც დაბლარს, ისე მაღლარს, შესანიშნავად ასხია, მაგრამ დიდი წვიმებისა გამო ვერ მოუკრეფიათ. დაიწყეს ჩვენში ამერიკულ ვაზის გაშენება, ყველგან კარგი პირი უჩანს, ზოგ ალაგას ნაყოფიც გამოიღო, ხილეულობა ბლომათაა, შტოები ვერ უძლებს ბიასა და ვაშლს, ისე ასხია.

ამ ჟამად ჩვენში მძვინვარებს მუცელა. ბევრი ბავშვი იმსხვერპლა, არსაიდან შველა არ არის, რადგან ექიმი სოფლად არა გვყავს, ხოლო იმის მოსაწვევად კაცი სამტრედიაში უნდა წავიდეს ოცი ვერსის მანძილზე. გვყავს ორიოდე ფერშალი, მაგრამ იმათი მოწვევაც ყველასათვის ხელსაყრელი როდია: ერთი ვერსის მანძილზე იღებენ ორიდან სამ-ოთხ მანეთამდის და ამიტომ იწვევენ მაშინ, როდესაც ავადმყოფი უკანასკნელ წამებშია და გინდა თუ არა, უნდა მოარჩინო, ფერშალო! თორემ მერე უყურე იმის ლანძღვა-გინებას: „არა ესმის-რა, ტყვილად დამახარჯვინა ფულებიო“... ბევრს არა სჯერა-რა ექიმობისა: „მუცელა ბატონებია და წამლობა ვის გაუგონიაო, ხომ გარისხდებიან ბატონებიო“. შეიბამენ კისერზე კარგა მოზრდილ ქვას, ან ჩაიბამენ კისერში ღლეჭს და ფორთხვით ეხვეწებიან (თან ჰკოცნიან ავადმყოფის საბანს), ნუ გაჯავრდებით, დიდო ბატონებო, გვაჩუქეთ ჩვენი შვილიო. მაგრამ ამაოდ, სიკვდილი თავისას მაინც არ იშლის.

ჩვენ სოფელში ქურდობა გახშირებულია. იპარვენ უფრო ცხენებს. წელიწადი არ გავა ისე, ათამდის ცხენი არ მოიპარონ. ერთხელაც ვერ დაუჭერიათ ქურდები. ცხრამეტ ამ თვეს აქ გასტეხეს სამიკიტნო დუქანი. დილას, როცა პატრონი მოვიდა დუქნის გასაღებად, შევიდნენ შიგ და ნახეს მძინარე მთვრალი ქურდი ი. გ— გაძე. როგორც გამოირკვა, საქმე ასე ყოფილა: ი. გ—ძეს და გ. რ—ქიძეს გაუტეხიათ დუქანი (როგორც პატრონი ამბობს, დახლში ექვსი თუმანი ყოფილა), აუღიათ ფული და მერე შესდგომიან ქეიფს, გაჯიბრებულან ღვინის სმაში, გ—გაძე ძალზე დამთვრალა და იქვე არხეინად მიწოლილა, რ—ქიძე კი წასულა სახლში. მოიყვანეს მამასახლისი და შეუყენეს ოქმი. გ—გაძემ განაცხადა, დუქანი გ. რ—ძემ გატეხა, მე მთვრალი ვიყავ და დავიძინეო. რ—ქიძეს გაუკრეს ხელები და გაამგზავრეს ქუთაისში.

**ერმილე**

—

**სოფ. ბალთა** (კავკავის მაზრა). წარსულ კვირაში აქაურ მებატონეს იმი დუდაროვს ერთმა ქისტმა ტყის მცველმა ქალი მოსტაცა. მომტაცებელს მდევარი გაუდგა, მაგრამ რაკი სხვას შეახიზნეს ქალიც და ქალის მომტაცებელიც, უკან დაბრუნება ქალისა მასპინძლისთვის დიდი სირცხვილი იყო, ამიტომ ორსავე მხრიდან შუაკაცები ამოარჩიეს და ამ შუაკაცებმა მიუსაჯეს მომტაცებელ ქისტს ქალის მამის სასარგებლოდ ორმოცდა ათი თუმანი ფულად და ორმოცდა ათი თუმნის საქონელი. აგრეთვე ორმოცდა ათი თუმანიც ნეჩიხი (მაჰმადიანთა წესისამებრ ნეჩიხს იმიტომ უწერენ, რომ თუ ვინიცობაა ქმარმა ცოლი უმიზეზოდ გააგდო, ნეჩიხი, რაც დაწერილი ექნებათ, ცოლმა უნდა წაიღოს). მოდი და ნუ იქურდებს ქალის მომტაცებელი: მაშ საიდან უნდა მისცეს ამოდენა ურვათი?!.

**ქ. ო.**

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### 24 სექტემბერი

**მინსკი**. ვილნოს გზათა საოლქო სამმართველოს განზრახვა აქვს, 1904 წელს იანვარში მეგზეთა კრება მოახდინოს იმ აზრით, რომ გამოიკვლიონ, რა მიზეზი აბრკოლებს გზათა მიმოსვლის განვითარებას.

**პეტროზავოდსკი**. საერო კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ, რომ მსხვილ საკუთრების პატრონი გლეხები საარჩევნო კრებებში ისეთსავე მონაწილეობას იღებდნენ, როგორსაც სხვა წოდების მესაკუთრენი იღებენო.

**სოფია**. მიურცშტეგში მომხდარ შეთანხმებას მთავრობის წრეებმა მტრულის თვალით როდი შეჰხედეს; ეს შეთანხმება არც თუ მაკედონელთა წრეებს უარ უყვიათ პრინციპიალურად. ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ თუ მაკედონიის მმართველობას სახელმწიფოები ნამდვილ კონტროლს დაუწესებენ, შეიძლება მაკედონია დამშვიდდესო.

**პარიზი**. ამბობენ, პარლამენტი 7 ოქტომბერს შეიკრიბებაო.

**ბერნი**. შვეიცარიის კავშირის საბჭომ კრუპს 288 ახალ სისტემის ზარბაზანი შეუკვეთა იმ პირობით, რომ ეს ზარბაზნები სამის წლის განმავლობაში ჩააბაროს.

### 25 სექტემბერი

**პეტერბურგი**. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე მშვიდობით მივიდა კანნში.

**პორტ-არტური**. ხურთო-მოძღვარი და მექანდაკე ტერენცონი შუამდგომლობს პორტ-არტურში უფასო სამხატვრო საქანდაკო სკოლის დაარსების შესახებ.

**სიმფეროპოლი**. სამხედრო უწყება აფართოვებს საკალში ტალახით სამკურნალოს. ამ აზრით ადგილობრივ გლეხებისაგან იყიდა მიწა 8 დესეტინა.

**მოსკოვი**. მოხდა დამაარსებელთა კრება ახალ საზოგადოებისა, რომელსაც აზრად ტუბერკულეზთან ბრძოლა აქვს.

**ხარკოვი**. გამოფენა დაათვალიერა დიდმა მთავარმა დიმიტრი კონსტანტინეს ძემ.

**გაგრა**. გამოფენაზე გაიმართება კონკურსები მიწის გადათხრისა, თიბვისა და ხეების დამყნობისა. გამოსცდიან აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და მავნე მწერებთან საბრძოლველ იარაღს.

**ჩისტოპოლი**. სამინისტრომ არ შეიწყნარა ერობის თხოვნა პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ. უარს სამინისტრო იმითი ასაბუთებს, რომ ადგილობრივი შემოწირულება არ არის და პოლიტეხნიკუმის დაარსება ძვირად, სამ მილიონ მანეთად, დაჯდებაო.

**ბერლინი**. დრეზდენსა, ბრემენსა, კილსა, ემდენსა და მაინის ფრანკფურტიდან იუწყებიან, რომ დიდი ქარიშხალია, რომელმაც დიდი ზარალი მოიტანა და ტელეგრაფის მავთულები დასწყვიტაო.

**ვენა**. ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა, რომ ვენამ მონაწილეობა მიიღოს პეტერბურგში განზრახულ ხელოვნებისა და ხელოსნობის გამოფენაშიო.

**სოფია**. 24,000 ჯარის-კაცის გამოწვევა იანვრის ნაცვლად დანიშნულია 8 ოქტომბრისათვის. შემდეგ სამის კვირით სავარჯიშოდ დაიბარებენ სათადარიგო ჯარის უნტერ-ოფიცრებს.— სამხედრო სურსათი საზღვარ-გარეთიდან მოვიდა.

**რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.**

# გამოსადეგი ცნობანი

—

### პეტერბურგის ბირჟა. 19 სექტემბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონისაზე 10 გირვ. სტ. . . . . . | 93,50 |
| ბერლინისაზე 100 მარკაში . . . . . . | 45,90 |
| პარიზისაზე 100 ფრანკში. . . . . . . | — |
| ლონდონისაზე ჩეკები . . . . . . . . | 94,45 |
| ბერლინისაზე „ . . . . . . . . | 46,30 |
| პარიზისაზე „ . . . . . . . . | 37,50 |
| ბირჟის დისკონტი . . . . . . . . | 5-6¹/₂% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . . . . . | 99 /2 გაყ. |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . . | — |
| 4¹/ % შინაგანი სესხი 1903 წ. . . . | — |
| 4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. . | 95¹/₈ მყიდ. |
| 5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. . | 445 „ |
| 5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ. | 336¹/₂ „ |
| 5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ. | 286 /₁ „ |
| 5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . . | — |
| 4¹/ % ობლ. იმავე საზოგად.. . . . . | — |
| 5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . . | — |
| 5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ. | — |
| 4¹/₂% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. . | — |
| 6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . . | — |
| ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია. . . . | 192¹/₂ „ |

### მიმოსვლა რკინის გზების ატარებლების,
### 18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს**: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3 სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

**ბაქოს**: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

**ყარსსა და ერივანს**: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. [illegible] წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. [illegible] წ.).

**ბორჯომს**: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2 სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

**გ) ბაქოდან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ. ); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 3). წ. სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 3 წ. (2 ს. 1 წ.).

**დ) ქუთაისიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ. 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

**ბათუმისაკენ**: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.; 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ.) (4 ს. 48 წ.).

**შორაპნისაკენ**: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის 2 ოქტომბერს, ნაშუადღევის პირველ საათზე, გამგეობის სადგომში **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც გაიცემა ქალაქის ადგილი მუშტაიდის ვიწრო ქუჩაში, ტფილისის პარკის პირდაპირ. ზომით ეს ადგილი 300 ოთხკუთხი საჟენია. გამოდგება შეშისა, ხე-ტყისა ან სხვა რისამე საწყობად.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე, გამგეობის მეოთხე განყოფილებაში. დაბეჭდილი კონვერტები მიიღება ვაჭრობის დაწყებამდე. ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებმა უნდა წარმოადგინოს 200 მანეთი.

(2—6.—1)

სხვა და-სხვა ჯვავილის
საუკეთესო
ო-დე-კოლონი
№ 4711
რეინის თაიგულები
უმჯობესი, ხანგრძლივი და
იაფი დუხები ცხვირსახოცებისთვის
**უოველგვარ ყვავილის
სუნნელებისა.**
(მც. 10—1)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

ცინკოგრაფია
**წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა**
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

Дозв. ценз. Тифлисъ 25 Сентября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).